ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქმა სოფიის საპატრიარქო მეტოქში ლიტურგია აღავლინა

2021 წლის 19 სექტემბერს, სოფიაში, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მეტოქში, სადღესასწაულო საღმრთო ლიტურგია ვარნისა და ველიკოპრესლავის მიტროპოლიტმა იოანემ აღასრულა. მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას თანამსახურებდნენ ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის მთავარი მდივანი, მელნიშის ეპისკოპოსი გერასიმე, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის წარმომადგენელი ბულგარეთის პატრიარქთან, საპატრიარქო მეტოქის წინამძღვარი არქიმანდრიტი ვასიანე (ზმეევი), სოფიის სასულიერო სემინარიის რექტორის მოადგილე მღვდელმონაზონი მელეტი (სპასოვი), დეკანოზი დიმიტრი ტუხჩიევი, პროტოდიაკონი იოანე პეტკოვი, დეკანოზი ალექსანდრე მოროზოვი.

ღვთისმსახურებაზე ლოცულობდნენ რუსეთის ფედერაციის საელჩოს მრჩეველი ფ. ს. ვოსკრესენსკი, მრევლი და ტაძრის სტუმრები.

ლიტურგიის საგალობლები სოფიის საპატრიარქო მეტოქის გუნდმა შეასრულა, რეგენტის ვასილენა ჩენოვა-სტეფანოვას ხელმძღვანელობით.

წირვის დასასრულს, ბულგარეთის პატრიარქთან მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის წარმომადგენელი, არქიმანდრიტი ვასიანე, მეტოქის სასულიერო პირებისა და მრევლის სახელით მიესალმა ვარნისა და ველიკოპრესლავის მიტროპოლიტ იოანეს.

„თქვენი სახით, ძვირფასო მეუფევ, ჩვენ გვყავს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კეთილი მეგობარი. თქვენ თანმიმდევრულად უჭერთ მხარს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობას, გონივრულ და გაწონასწორებულ პოზიციას იკავებთ, რომელიც დაფუძნებულია მრავალსაუკუნოვან წმინდა მამათა საეკლესიო ცხოვრების კრებსით მმართველობაზე, კანონიკური წესების უსიტყვო პრიორიტეტზე. თქვენი მწყემსთმთავრული სიყვარული, გულმოდგინება და მართლმადიდებლობის ერთიანობაზე ზრუნვა შთაგვაგონებას, რომ უფალი თავის ეკლესიას შეინარჩუნებს ერთიანს, განუყოფელს და გვიბოძებს შესაძლებლობას ერთი გულითა და ერთი ბაგით ვადიდოთ უფალი ღმერთი, რომელიც ასე საოცრად განდიდდა მის წმინდანებში, რომელთაგან ერთი არის წმინდა სერაფიმე ბოგუჩარსკი, სოფიელი სასწაულთმოქმედი“, – თქვა, კრეძოდ, არქიმანდრიტმა ვასიანემ.

სადღესასწაულო ღვთიმსახურების ხსოვნის ნიშნად, სოფიის საპატრიარქო მეტოქის წინამძღვარმა მეუფე იოანეს წმინდა პანაღია უბოძა.

შემდეგ ვარნისა და ველიკოპრესლავის მიტროპოლიტმა იოანემ დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა. იერარქმა გაიხსენა, რომ 2021 წელს ხუთი წელი სრულდება, რაც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალიერარქთა კრებამ, ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდთან ერთად ერთსულოვნად წმინდანთა დასში განადიდა წმინდა სერაფიმე, ბოგუჩარსკის მთავარეპისკოპოსი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში პატივდებული იყო, როგორც ბულგარეთში, ასევე რუსეთში. მეუფე იოანემ სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის კირილესა და მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტის ილარიონის მისამართით, რომელიც იყო მთავარეპისკოპოს სერაფიმეს კანონიზაციის კომისიის თავმჯდომარე.

ბულგარეთის უწმინდესი პატრიარქის ნეოფიტეს სახელით, მიტროპოლიტმა იოანემ ასევე მადლობა გადაუხადა მეტოქის წინამძღვარს, არქიმანდრიტ ვასიანეს, უსურვა მას ჯანმრთელობა და „სულიწმიდაში სიხარული, როგორიც წმინდა სერაფიმეს (სობოლევი) ჰქონდა“.

„გარწმუნებთ, რომ მიუხედავად თანამედროვე შეშფოთებისა და იმედგაცრუებებისა, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა ყოველთვის გაგრძელდება. მართლმადიდებლობა შეძლებს ყველა განსაცდელი გადაიტანოს, თუ ჩვენ შინაგანად, როგორც ქრისტიანები და წმინდა საკურთხევლის

მსახურები, ერთიანები ვიქნებით. ჩვენ ორიენტირება უნდა მოვახდინოთ ჩვენი წმინდანების ცხოვრებაზე – წმინდა ნიკოლოზის, წმინდა სერაფიმე სოფიელის, ღირსი სერაფიმე საროველის. გისურვებთ ღვთის შეწევნას თქვენ, თქვენს ძმა მღვდელმსახურებს და ყველა აქ მყოფს“, – ბრძანა მიტროპოლიტმა იოანემ.

ლიტურგიის დასასრულს ვარნისა ველიკოპრესლავის მიტროპოლიტმა იოანემ ბოგუჩარსკის მთავარეპისკოპოს სერაფიმეს საფლავზე პარაკლისი გადაიხადა და წმინდა სერაფიმეს ხატის წინ დანთებული კანდელის წმინდა ზეთის ცხებით კურთხევა გასცა.

სოფიის მოსკოვისა და სრულიად რუსეთის საპატრიარქოს მეტოქი/

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88076/